## ცხინვალი

ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მოლიერის კომედია „ძალად ექიმი".

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა, მხატვრულად გააფორმა ვ. კოზაევამ, მუსიკა დაწერეს გ. მაღრაძემ და ზ. ხაბალოევამ.

— : —

მეორე ახალი დადგმა, რომელიც განახორციელა თეატრის ქართულმა დასმა მაინ-რიდის რომანის მიხედვით დაწერილი პიესა „უთავო მხედარი" (დრამატული კომპოზიცია ი. რუბინშტეინის), დადგა რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა, მხატვრულად გააფორმა გ. ცერაძემ, მუსიკალურად გააფორმეს რ. დემჩინსკიმ და გ. მაღრაძემ, ქორეოგრაფია გ. გავლოევი.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ: ი. შერაზადიშვილი, ი. ცხვირაშვილი, ნ. ვაშაკიძე, ვ. დარბუაშვილი, გ. ქოქოევი, რ. პლიევა, ო. ცერაძე და სხვ.

მაყურებელმა ორივე სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

## ზუგდიდი

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახლახან მაყურებელს უჩვენა სამი პრემიერა — ესტონელი დრამატურგის რანეტის პიესა „ბრაკონიერები", იუგოსლაველი მწერლის ვოინოვიჩის პიესა „გრიგალი" („ეკვინეციო") და ლ. მილორავას „მოხუცის გული".

პიესა „ბრაკონიერები" დადგა ვ. მჭედლიძემ.

დრამა „გრიგალი" დადგა რეჟისორმა ს. ახალაძემ, მხატვრობა ეკუთვნის ი. პეტრაიტისს, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ზ. ლოლაძემ.

ლ. მილორავას სამმოქმედებიანი პიესა „მოხუცის გული" დადგა რეჟისორმა ა. მაღლაკელიძემ.

## დუშეთი

დუშეთის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა წარმოადგინა ს. მთვარაძის პიესა „სახსოვარი".

სახალხო თეატრის კოლექტივი ხშირად აწყობს გასტროლებს მეზობელ სოფლებში.

## ცაგერი

ცაგერის სახალხო თეატრმა წარმოადგინა თ. ლოლაძის და ტ. გაფრინდაშვილის დრამა-ლეგენდა „ტახტის მემკვიდრე".

სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა გ. მდივანმა.

## ხულო

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხულოს სახალხო თეატრი, რომლის უკანასკნელი დადგმაა გ. კუბარიევის „სამი უბედური".

დადგმა ეკუთვნის აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, რეჟისორ ი. ზოიძეს, მხატვრობა — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მხატვარს ა. ფილიპოვს.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ ნ. ჟორბენაძე, რ. თავართქილაძე, ქ. გაჩეჩილაძე, შ. ბოლქვაძე, ნ. აბაშიძე, ლ. ბანძელაძე და სხვ.

## ლენტეხი

ამ დღეებში ლენტეხის კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა განახორციელა სოფოკლეს ტრაგედია, „ოიდიპოს მეფის" დადგმა.

რეჟისორია დ. პირველი. მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

როლების კარგი შესრულებით გამოირჩეოდნენ: დ. პირველი (ოიდიპოს მე-